

სოსო დუმბაძე (1981) – ცხოვრობს კელნში, მუშაობს კელნსა და თბილისში. კინო და მედიახელოვნება შეისწავლა კელნის მედიების ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელში (Academy of Media Arts Cologne, დიპლომი 2011). მისი დისერტაცია (ზაფხული 2020), ეხება ქართულ-რუსულ კინოავანგარდს პოლიტიკურ ესეი ფილმთან მიმართებაში, ჰამბურგის სახვითი ხელოვნების უმაღლესი სასწავლებელი (University of Fine Arts of Hamburg).

დუმბაძის ნამუშევრები წარმოდგენილი იყო: The Art and Exhibition Hall of the Federal Republic of Germany (Bundeskunsthalle), Art Cologne, Künstlerhaus Bethanien Berlin, New Talents – Biennale და სხვა. მისი ვიდეოინსტალაცია »პარალელები ერთ ომზე« (2012) შესყიდულ იქნა ქალაქ კელნის კოლექციისათვის ბარბარა ენგელბახის კურატორობით Ludwig Museum-იდან. დუმბაძის ვიდეოინსტალაციის შესახებ »ყვითელი ავტობუსი« (2017) დაიწერა ჟურნალში Frieze და გაზეთში Frankfurter Allgemeine Zeitung. მისი სადიპლომო ფილმის »მზიანი ღამე« (2017, რეალიზირებული ლეა ჰარტლაუბთან ერთად) პრემიერა გაიმართა Dok-Leipzig-ის კინოფესტივალზე.

დუმბაძე თბილისში ორგანიზებას უწევს [კინოსემინარებს](#) საერთაშორისო რეფერენტებით. 2006 წელს მან დააარსა »საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.«, სადაც გამოიცა [16 წიგნი](#) ისეთი ავტორების, როგორებიც არიან: ვალტერ ბენიამინი და თეოდორ ვ. ადორნო, სერგეი ეიზენშტეინი და ძიგა ვერტოვი, პიერ პოლო პაზოლინი, აგერთვე, თანამედროვე ხელოვნებიდან, ჰარუნ ფაროკი და კრის მარკერი და სხვა. სოსო დუმბაძე თავისი მონოგრაფიით »კოტე მიქაბერიძე« (ქართულად 2017, ინგლისურად 2018, რეალიზებული ნინო ძანდავასთან ერთად) პრეზენტაცია-მოხსნებებით წარსდგა: პომპიდუს ცენტრში, პარიზი (Centre Georges Pompidou), გერმანიის კინომუზეუმში (ფრანკფურტი), ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე და სხვა.

გამოფენები:

- 02.06.-17.07.2017 *alpha nova & galerie futura Berlin;*
- 08.06.-10.06.2018 *Watschnadsestrasse Tbilisi; Galerie Fabrika Tbilisi;*
- 15.11.-15.12.2019 *Künstlerhaus Bethanien Berlin;*

– 30.06.-06.09.2020 *The Art and Exhibition Hall of the Federal Republic of Germany (the Bundeskunsthalle)*

ფოტოდოკუმენტაციის ფოტოგრაფები:

თბილისში: ივა ჩიტიძე ხათუნა ჰსუტური, ნათია გულიაშვილი

ბერლინში: დოროთეა ნოლდი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი

Soso Dumbadze (1981) lives in Cologne, works in Cologne and Tbilisi. He studied film and media arts at the Academy of Media Arts Cologne (2011). His PhD project at University of Fine Arts of Hamburg (Summer 2020), deals with Georgian-Russian avant-garde cinema with focus on the political essay film.

Dumbadze's works were presented at The Art and Exhibition Hall of the Federal Republic of Germany (the Bundeskunsthalle), Art Cologne, New Talents – Biennale, Künstlerhaus Bethanien Berlin and others. His video installation *The Parallel* (2012), which analyzed the media representations of power on the example of the inaugurations of presidents Saakashvili and Putin, was acquired by the Culture Department of the City of Cologne, under the curatorship of Barbara Engelbach from the Ludwig Museum (Cologne). The videoinstallation *A Yellow Bus* (2017) addressing homophobia in Georgia using materials depicting the events of May 17, 2013 in Tbilisi was covered by Frieze and Frankfurter Allgemeine Zeitung. His diploma film *Sunny Night* (2017, co-directed with Lea Hartlaub) about the Georgian Orthodox Church and its power within the political landscape of Georgia premiered at Dok-Leipzig festival.

In Tbilisi, Dumbadze organizes [film seminars](#) with participation of international speakers. In 2006 Soso Dumbadze founded *Sazogadoebrivi Gamomtsemloba Sa.Ga. (Publishing for Society)*, which has published [16 books](#), including works by authors such as Walter Benjamin and Theodor W. Adorno, Sergei Eisenstein and Dziga Vertov, Pier Paolo Pasolini, as well as authors from contemporary art like Harun Farocki, Chris Marker and others. Soso Dumbadze delivered presentations of his monograph [Kote Mikaberidze](#) (in Georgian 2017, in English 2018, co-authored

with Nino Dzandzava) at the Centre Georges Pompidou (Paris), German Film Museum (Frankfurt), Frankfurt Book Fair, etc.